# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

## კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N 24482

**1. სახელწოდება**

| |
|---|
| ნასოფლარ ტყემლარას ყორღანები |

**2. ადგილმდებარეობა / მისამართი**

| | |
|---|---|
| 2.1 ზუსტი მისამართი | |
| ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი) | საქართველო; ქვემო ქართლი; თეთრიწყარო; თეთრი წყარო |
| ქალაქის რაიონი | |
| ქუჩა (ქუჩები) | |
| 2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა | |
| ისტორიული მხარე | |
| გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება | |
| ისტორიული დასახლების სახელწოდება | |

| | |
|---|---|
| მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან | |

3. სახეობა

| | |
|---|---|
| არქიტექტურის | |
| არქეოლოგიური | + |
| საინჟინრო | |
| მემორიალური | |
| ქალაქთმშენებლობის (ურბანული) | |
| საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის | |
| მონუმენტური სახვითი ხელოვნების | |
| პალეოგრაფიული | |
| ეთნოგრაფიული | |
| სახვითი ხელოვნების | |
| მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი | |

4. სტატუსი და კატეგორია

| | | |
|---|---|---|
| სტატუსი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | ობიექტი სტატუსის გარეშე |
| სტატუსის მინიჭების თარიღი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| დოკუმენტის # | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| კატეგორია | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | ობიექტი/ძეგლი კატეგორიის გარეშე |
| კატეგორიის მინიჭების თარიღი | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება | თავდაპირველი | |
| | ამჟამინდელი | |
| დოკუმენტის # | თავდაპირველი | |

| | | |
|---|---|---|
| დოკუმენტის # | ამჟამინდელი | |
| რეესტრის # | | |
| რეესტრში შეტანის თარიღი | | |

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

| |
|---|
| ,ძვ.წ. მე-3 ათასწ. შუა ხანები. |

6. ფუნქცია

| დასახელება | თავდაპირველი | ამჟამინდელი |
|---|---|---|
| რელიგიური | რელიგიური, რიტუალური>>სამაროვანი/პანთეონი/სასაფლაო; | რელიგიური, რიტუალური>>სამაროვანი/პანთეონი/სასაფლაო; |
| სათავდაცვო | | |
| საერო | | |

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

| | |
|---|---|
| იურიდიული პირი | |
| ფიზიკური პირი | |
| სხვა | |

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

N 1 და N 2 ყორღანები ქვაყრილიანი იყო. დაახლოებით 15 მ. დიამეტრით. დასაკრძალავი ორმო N 1 ყორღანისა იყო ზომით 3,5 X 3,8 მ., ხოლო N 2 ყორღანისა- 3,8 X 3,6 მ. N1 ყორღანს ყრილი თითქმის მთლიანად ჰქონდა გადაცლილი. აღმოჩნდა რამძენიმე ცალყურა ტოლჩა შავად გაპრიალებული ზედაპირითა და მორუხო სარჩულით. აქვე იყო მსხლისებრი ფორმის ქვიშაქვის ლახტისთავი. N 2 ყორღანში აღმოჩნდა შავპრიალა, ბიკონუსურტანიანი ორყურა დერგი შემკული ჭრილი სამკუთხედებითა და წიწვისებრი ორნამენტით. ცალყურა ქოთანი ტანზე შემოყოლებული ტეხილხაზოვანი სარტყელით და რამდენიმე ჭურჭლის ფრაგმენტი. N 3 ყორღანი ქვამიწაყრილიანია, წრიული ფორმისა, დიამეტრი – 22,5 მ. ყრილის სიმაღლე – 1,4 მ. ქვაყრილის ჩრდილოეთ ნაწილში გამოიკვეთა ქვაწრე, დიამეტრი – 3,3 მ. ყორღანში დასაკრძალავი კამერა არ გამოვლენილა, იგი უორმო უნდა ყოფილიყო. ქვაყრილსა და ყორღანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცები, საფხეკები და კერამიკული ფრაგმენტები. ეს ყორღანი, ჩანს, N 4 ყორღანზე ადრე უნდა აეგოთ. N 4 ყორღანი წრიული ფორმისაა, ქვა-მიწაყრილიანი; დიამეტრი – 23 მ, ყრილის სიმაღლე – 1,23 მ აღწევდა. ყორღანის ცენტრში გამოიკვეთა ოთხკუთხა ფორმის, თიხნარში ამოჭრილი დასაკრძალავი კამერა (h – 1,7 მ, d – 4,2 X 3,2 მ). იგი სავარაუდოდ, ხით იყო გადახურული, შემდეგ კი ქვის ჯავშნით დაუფარავთ და თიხით მოუტკეპნიათ. კამერის თავზე, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი (1,5 X 1,2 მ). მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულად, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. მასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ყუნწიანი სატევარი, ქვიშაქვის ხვრელიანი ცული, ცალყურა ჭურჭელი, შავი ფერის, ცილინდრული ყელით და მომრგვალებული კორპუსით. ყელისა და მხრის შეერთებაზე ამოღარული სარტყელი აქვს, ხოლო ყურს მოპირდაპირედ ფოსო გააჩნია. შავპრიალა ქოთანი ცილინდრული ყელითა და სფერული მუცლით. მხარზე ფოსო აქვს. კორპუსი შემკულია ფოთლისებრი ზოლებითა და მომცრო ფოსოების მწკრივით. აქვე აღმოჩნდა შავპრიალა, მომცრო ზომის თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. რაც შეეხება დასაკრძალავ კამერას, მისი იატაკი მოტკეპნილი იყო. ცენტრში, თიხნარზე, დანახშირებული ლასტის ანაბეჭდი იყო შემორჩენილი. სამარხის ძირიდან 1,4 მ. სიმაღლეზე, კედლების გასწვრივ თიხის ბაქანი იყო გამართული. კლდოვან დედაქანში გაჭრილ ორ თხრილში ჩაწყობილი იყო ხის ურმის თითო ბორბალი და ღერძის ნაწილი. მის გასწვრივ, თხრილებსა და იატაკზე ელაგა თიხის ჭურჭელი. მიცვალებული სამარხში არ აღმოჩნდა. ფიქრობენ, რომ სამარხი გაძარცული იყო. დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა: ხის ურმის დანახშირებული ფრაგმენტები; ბრინჯაოს ფოთლისებრი ფორმის დანა; თიხის დერგები მოშავო-მორუხო ფერის. უმეტესობა ორყურაა, ცილინდრული ყელით და სფეროსებრი კორპუსით. ერთი დერგი უყუროა, კვერცხისებრი კორპუსითა და დაბალი ყელით. ზოგიერთი დერგი შემკულია კოპების მწკრივით და რელიეფური გველებით. დერგებს გარდა სამარხში აღმოჩნდა მომცრო ზომის, თხელკედელა ჭურჭელიც, ძირითადად ტოლჩის და ხელადის ტიპისა, შემკული წვრილი კოპების ორმაგი მწკრივით, პარალელური ზოლების სარტყელით, კანელურებით და მათ შორის მოქცეული დაშტრიხული რომბების მწკრივით.

**9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა**

9.1 ზოგადი შეფასება

| |
|---|
| ძალიან ცუდი |

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

| |
|---|
| |

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

| | |
|---|---|
| ბუნებრივი | |
| ადამიანის ზემოქმედება | |

| | |
|---|---|
| სხვა კონკრეტული მიზეზი | |

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

| |
|---|
| |

**10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე**

| | |
|---|---|
| პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი | / |
| უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა | |
| უახლესი და საარქივო ფოტოები | |
| ბიბლიოგრაფია | |
| საარქივო წყაროები | |

**11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე**

| | |
|---|---|
| დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები | |
| ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები | |
| სხვა დოკუმენტები | |

**12. დამატებითი ინფორმაცია**

| |
|---|
| X კოორდინატი: 41.56998197; Y კოორდინატი: 44.4145031; დასაზუსტებელია |

**13. ბარათის შემდგენელი**

| |
|---|
| |

**14. ბარათის შედგენის თარიღი**

| |
|---|
| |